

სს „რუსთავის აზოტი“

ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	5
2. ფუნქციონირებადი საწარმო	5
3. მომზადების საფუძველი.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა.....	7
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	14
6. ძირითადი საშუალებები.....	15
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	16
8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	17
9. გადახდილი ავანსები.....	17
10. კაპიტალი	17
11. მიღებული ავანსები	18
12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	18
13. შემოსავალი.....	18
14. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	18
15. დისტრიბუციის ხარჯები.....	19
16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19
17. სხვა შემოსავალი	19
18. სხვა ხარჯები	19
19. პირობითი ვალდებულებები	20
20. ფინანსური ინსტრუმენტები.....	21
21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	23
22. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „რუსთავის აზოტი“-ს მენეჯმენტსა და მფლობელს

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „რუსთავის აზოტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს-ი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში და მათზე აუდიტორის დასკვნაში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს [კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2018 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მფლობელი პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.



ჩვენ მფლობელს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს “იუაის” სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 30 სექტემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	39,148	8,034
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები		5,824	–
არამატერიალური აქტივები		1,109	1,230
სულ გრძელვადიანი აქტივები		46,081	9,264
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	53,533	57,431
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	117	2,049
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		5,193	4,665
გადახდილი ავანსები	9	23,534	12,013
სხვა მიმდინარე აქტივები		–	1,010
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20	350	7,213
სულ მიმდინარე აქტივები		82,727	84,381
სულ აქტივები		128,808	93,645
კაპიტალი	10		
საწესდებო კაპიტალი		32,831	11,904
დაგროვილი დანაკლისი		(18,849)	(55,473)
სულ კაპიტალი		13,982	(43,569)
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	11	44,760	57,774
სხვა ფინანსური ვალდებულებები	20	26,793	25,922
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		–	1,049
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	16,280	23,623
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი	1	26,993	28,714
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		–	132
სულ მიმდინარე ვალდებულებები		114,826	137,214
სულ ვალდებულებები		114,826	137,214
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		128,808	93,645

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს:

 ეფრემ ურუმაშვილი
 დირექტორი

 ალექსანდრე ლატარია
 ფინანსური დირექტორი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	39,148	8,034
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები		5,824	–
არამატერიალური აქტივები		1,109	1,230
სულ გრძელვადიანი აქტივები		46,081	9,264
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	53,533	57,431
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	117	2,049
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		5,193	4,665
გადახდილი ავანსები	9	23,534	12,013
სხვა მიმდინარე აქტივები		–	1,010
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20	350	7,213
სულ მიმდინარე აქტივები		82,727	84,381
სულ აქტივები		128,808	93,645
კაპიტალი	10		
საწესდებო კაპიტალი		32,831	11,904
დაგროვილი დანაკლისი		(18,849)	(55,473)
სულ კაპიტალი		13,982	(43,569)
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	11	44,760	57,774
სხვა ფინანსური ვალდებულებები	20	26,793	25,922
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		–	1,049
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	16,280	23,623
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი	1	26,993	28,714
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		–	132
სულ მიმდინარე ვალდებულებები		114,826	137,214
სულ ვალდებულებები		114,826	137,214
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		128,808	93,645

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს:


 ეგორ ურუმაშვილი
 დირექტორი


 ალექსანდრე ლატარია
 ფინანსური დირექტორი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	<i>შენიშვნა</i>	2018	2017
შემოსავალი	13	330,129	217,253
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	14	(228,622)	(141,299)
საერთო მოგება		101,507	75,954
საიჯარო ხარჯი	1	(20,670)	(25,881)
დისტრიბუციის ხარჯები	15	(26,776)	(18,871)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(9,610)	(13,221)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(2,182)	(258)
სხვა შემოსავალი	17	7,675	1,189
სხვა ხარჯები	18	(11,759)	(3,622)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		38,185	15,290
ნაკისრ ვალდებულებების შემოზღუდვა (ნაკისრ ვალდებულებებზე გაწეული ხარჯი)	1	1,219	(69,040)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	15	33	33
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(2,638)	(1,621)
ამორტიზაცია		(157)	(135)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე		36,624	(55,473)
მოგების გადასახადის ხარჯი		—	—
წლის მოგება/(ზარალი)		36,624	(55,473)
წლის სრული მოგება/(ზარალი), სულ		36,624	(55,473)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი დანაკლისი	სულ
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	–	1
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (მე-10 შენიშვნა)	11,903	–	11,903
წლის ზარალი	–	(55,473)	(55,473)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(55,473)	(55,473)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,904	(55,473)	(43,569)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (მე-10 შენიშვნა)	20,927	–	20,927
წლის მოგება	–	36,624	36,624
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	36,624	36,624
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	32,831	(18,849)	13,982

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2018	2017
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საექსპორტო ბაზარზე გაყიდვებიდან მიღებული ფულადი ნაკადები		268,607	256,714
ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვებიდან მიღებული ფულადი ნაკადები		61,188	41,878
დღ-ის ანაზღაურება		22,450	18,000
მიღებული პროცენტი		47	33
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		352,292	316,625
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ბუნებრივი აირი		(135,303)	(120,565)
ელექტროენერგია		(43,393)	(33,309)
სხვა ნედლეული		(41,345)	(22,657)
კომუნალური მომსახურება		(1,720)	(976)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება		(703)	(2,155)
საიჯარო გადასახდელები		(42,695)	(41,184)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(811)	–
ხელფასები		(21,975)	(20,201)
ადმინისტრაციული ხარჯი		(12,518)	(4,099)
საპორტო ხარჯები		(6,845)	(6,918)
სარკინიგზო ხარჯები		(22,598)	(14,665)
შესაფუთი მასალები		(4,860)	(6,337)
ნაკისრი ვალდებულებებზე გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხები		(10,590)	(24,321)
გარანტიის გადახდა	20	(1,232)	–
სხვა		(1,789)	(1,466)
სულ საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(348,377)	(298,853)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(11,014)	(8,006)
არამატერიალური აქტივების შეძენა		–	(1,331)
სულ საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(11,014)	(9,337)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		236	(1,223)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(6,863)	7,212
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		7,213	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		350	7,213

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „რუსთავის აზოტი“ (შემდგომში „კომპანია“) 2016 წლის 13 სექტემბერს დაფუძნდა საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა აზოტის სასუქების და ოქროს გამოტუტვის პროდუქტების წარმოებაა. კომპანიის ძირითადი პროდუქტებია სოდიუმის ციანიდი და ამონიუმის ნიტრატი, რომლებსაც ორმაგი დანიშნულება აქვს და გამოიყენება სოფლის მეურნეობასა და სამთო მრეწველობაში. კომპანიის მთავარი საექსპლუატაციო აქტივია რუსთავის აზოტის ქარხანა, რომელიც საქართველოს ქალაქ რუსთავში მდებარეობს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, მშვიდობის ქუჩა № 2.

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს სს „EU Investments“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რომლის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელია ბატონი ეფრემ ურუმაშვილი.

კომპანიის დაფუძნება

2016 წლის 1 სექტემბერს მშობელმა კომპანიამ საჯარო აუქციონზე შეიყიდა შპს „რუსთავის აზოტის“ არსებითად ყველა მატერიალური აქტივი (სასაქონლო-მატერიალური მარაგები და ძირითადი საშუალებები – „რუსთავის აზოტის“ ქარხნის აქტივები). მთლიანმა ღირებულებამ (დღგ-ის ჩათვლით) 235,079 ლარი შეადგინა. აქტივების შესყიდვა დაფინანსდა ქართული ფინანსური დაწესებულებისგან აღებული სესხით.

2017 წლის 6 იანვარს რუსთავის აზოტის ქარხნის აქტივები იჯარით გადაეცა სს „რუსთავის აზოტს“ მისი მშობელი კომპანიის მიერ მოკლევადიანი საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, და ამ თარიღიდან კომპანიამ დაიწყო რუსთავის აზოტის ქარხნის ექსპლუატაცია. ძირითადი საშუალებების იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების საიჯარო ხარჯების სტრიქონის მუხლში.

მიუხედავად იმისა, რომ არ არის შპს „რუსთავის აზოტის“ სამართალმემკვიდრე და არც სამართლებრივი კავშირი აქვს მასთან ან მის ყოფილ მფლობელებთან, კომპანიის საბოლოო მფლობელებმა და ხელმძღვანელებმა თანხმობა განაცხადეს შპს „რუსთავის აზოტის“ და მისი ყოფილი მფლობელების გარკვეული ვალდებულებების აღებაზე. ეს ვალდებულებები უკავშირდება შპს „რუსთავის აზოტის“ კრედიტორულ დავალიანებებს თავისი მომწოდებლების მიმართ (ძირითადად, გაზის, ელექტროენერგიის და სხვა კომუნალური მომსახურების მომწოდებლების მიმართ). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სრულად დაფარა ნაკისრი ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)

კომპანიამ ასევე წარმოადგინა ფინანსური გარანტიები სს „საქართველოს ბანკის“ (შემდგომში „საქართველოს ბანკი“ ან „კრედიტორი ბანკი“) მიმართ შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი მფლობელების გარკვეული სესხებისთვის. ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულების სამართლიანი ღირებულება 28,714 ლარად განისაზღვრა 2017 წლის 30 იანვარს, ხელშეკრულების გაფორმების თარიღში და ამის შემდეგ გადააფასა ის 2018 წელს გადაფასების ღირებულება 26,993 ლარად (2017 წ.: 28,714 ლარი) განისაზღვრა. შესაბამისი ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდა ვალდებულებების და დარიცხვების ანარიცხვების სახით.

კომპანიის ხელმძღვანელებმა და მფლობელებმა ეს ვალდებულებები იკისრეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში რუსთავის აზოტის ქარხნის ფუნქციონირებას სერიოზული სირთულეები შეექმნებოდა. ამ სირთულეების სოციალურ-ეკონომიკური დანახარჯები საგრძნობლად გადაწონდა ნაკისრი ვალდებულებების ღირებულებას.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 32,099 ლარით (2017 წ.: 52,833 ლარი) აღემატებოდა.

როგორც ზემოთ, 1-ელ შენიშვნაში აღინიშნა, მშობელმა კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შპს „რუსთავის აზოტის“ აქტივებზე ამ აქტივების ყოფილი მფლობელების კრედიტორი ბანკის მიერ გამართული ღია აუქციონის შედეგად. აუქციონი გაიმართა ყოფილი მფლობელების მხრიდან საქართველოს ბანკის მიმართ თავიანთი ვალდებულებების მრავალგზის შეუსრულებლობის გამო. შპს „რუსთავის აზოტის“ აქტივების შესყიდვის შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელებმა და მფლობელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს, რათა გაეუმჯობესებინათ აქტივის ექსპლუატაცია, აღმოეფხვრათ ნაკლოვანებები და მასთან დაკავშირებული დანახარჯები, გაეუმჯობესებინათ კორპორატიული მართვა და მიეღოთ სხვა ზომები წარსულში ქარხნის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ფინანსური სირთულეების დასაძლევად.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

2. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მიზანშეწონილობის შეფასება ეყრდნობა შემდეგ ფაქტებს, ხელმძღვანელობის გეგმებსა და ვარაუდებს:

- ▶ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს 26,993 ლარის (2017 წ.: 28,714 ლარი) ანარიცხებს შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი მფლობელების სასარგებლოდ გაცემული გარანტიისთვის (მე-19 შენიშვნა). 2018 წელს კომპანიას ამ გარანტიის ფარგლებში საქართველოს ბანკმა მოსთხოვა და 2018 წლის 1 თებერვალს გადაიხადა 1,232 ლარი (0,5 მილიონი აშშ დოლარი). კომპანიამ საქართველოს ბანკისგან მიიღო წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ბანკი ამ გარანტიით გათვალისწინებული დანარჩენი თანხების ამოღებას დააპირებს, იგი ამ თანხების დაფარვას 6-წლიან პერიოდზე გადაანაწილებს. ვინაიდან წერილი არ არის იურიდიული ძალის მქონე, კომპანია აგრძელებს გარანტიის აღრიცხვას მიმდინარე ვალდებულებად; თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფაქტობრივი გადახდები გადავადდება 6-თვიანი პერიოდის განმავლობაში.
- ▶ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე ვალდებულებები მოიცავდა საგარანტიო დეპოზიტს კლიენტისგან 26,792 ლარის (2017 წ.: 25,922 ლარი) ოდენობით. დეპოზიტს მომხმარებელი ათავსებს 5-წლიანი ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდების ვალდებულების შესრულების გარანტიებისთვის (დაფარვის ვადა 2022 წლის იანვარი). მოსალოდნელია, რომ საგარანტიო დეპოზიტის რეალიზება არ მოხდება ხელშეკრულების 3-წლიანი ვადის გასვლამდე. თუმცა, ვალდებულება მიმდინარე ვალდებულებად არის კლასიფიცირებული, რადგან მისი დაფარვა ნაღდი ფორმით და შეტყობინების მიღებიდან 6 თვის ვადაში საქონლის მიწოდების ფორმით უნდა მოხდეს, იმ შემთხვევაში, თუ მიწოდების ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდება.
- ▶ 2017 წელს, კომპანიამ შპს „რუსთავი აზოტის“ ყოფილი მფლობელის კონკრეტული ვალდებულებები იკისრა (1-ლი შენიშვნა), რამაც 2018 წელს გამოიწვია 10,590 ლარის ოდენობით (2017 წ.: 24,321 ლარი) ფულადი სახსრების გადინება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სრულად დაფარა ნაკისრი ვალდებულებები.
- ▶ კომპანიის მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით, ქარხნის მიერ წარმოებული საქონლის ფასთან და ამ საქონელზე მოთხოვნასთან დაკავშირებული პროგნოზები მომდევნო წლებისთვის დადებითია.

ხელმძღვანელობის აზრით ზემოაღნიშნული ინიციატივების ერთობლიობა კომპანიას უზრუნველყოფს საკმარისი ლიკვიდურობით, რომ საქმიანობა გააგრძელოს ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ყველა ეს განცხადება ეყრდნობა არსებულ მოლოდინებსა და პროგნოზებს. ხელმძღვანელობის კონტროლს არ ექვემდებარება ბევრი რისკი და გაურკვევლობა, რის გამოც შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ანგარიშგების თარიღით გაკეთებული განცხადებებისგან. დღეისათვის ყველა ოპერაცია ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

3. მომზადების საფუძველი

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის ანგარიშგებისთვის.

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ და ფასს (IFRS) 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მიღების მიღმა (მე-4 შენიშვნა).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ პირველად მიიღო ფასს (IFRS) 9 „*ფინანსური ინსტრუმენტები*“ და ფასს (IFRS) 15, „*ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*“. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი. სტანდარტის ამოქმედების თარიღში, 2018 წლის 1 იანვარს, კომპანიამ მიიღო ახალი სტანდარტი და არ მოუხდენია შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება. რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2018 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ფასს (IFRS) 9 „*ფინანსური ინსტრუმენტები*“ ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 39-ს – „*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და ამ თარიღის შემდეგ ყოველწლიური პერიოდებისთვის. ეს სტანდარტი ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა.

კომპანიამ ახალი სტანდარტი მიიღო მისი ძალაში შესვლის თარიღიდან და ფასს (IFRS) 9-ით არის ნებადართული ფორმით, არ გადაიანგარიშა შედარებადი ინფორმაცია. ფასს (IFRS) 9-ის მიღებას არსებითი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 9-ის გამოყენებას არ გამოუწვევია ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მოკლევადიანობისა და მაღალი ლიკვიდურობის გამო, კომპანიამ შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად შეაფასა. ამიტომ, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად გაუფასურება არ უღიარებია.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

კომპანიის ოპერაციების თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების გამო, ფასს (IFRS) 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნების მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის სასესხო ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვებზე. შესაბამისად, კომპანიას არ უღიარებია სტანდარტის მიღების რაიმე სახის გავლენა პერიოდის დასაწყისში გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვარს.

ფასს (IFRS) 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს (IFRS) 15 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 11-ს „*სამშენებლო ხელშეკრულებები*“, ბასს (IAS) 18-ს „*შემოსავალი*“ და შესაბამისი ინტერპრეტაციები და შეზღუდული გამონაკლისის სახით იყენებს მათ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ყველა ამონაგებზე. ფასს (IFRS) 15 ადგენს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი შემოსავლის აღრიცხვის ხუთ-საფეხურიან მოდელს და მოითხოვს, რომ ამგვარი შემოსავლების აღიარება მოხდეს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

ფასს (IFRS) 15 საწარმოებისგან მოითხოვს მსჯელობის გამოყენებას და ყველა შესაბამისი ფაქტის და ვითარების გათვალისწინებას მოდელის ყველა საფეხურზე მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვას. ამასთან, სტანდარტი მოითხოვს მეტად დეტალურ განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიამ მიიღო ფასს (IFRS) 15, მიღების მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ამ მეთოდის ფარგლებში, სტანდარტი შესაძლოა უფრო ადრე იქნას მიღებული ყველა ხელშეკრულებასთან მიმართებაში თავდაპირველი გამოყენებისას ან მხოლოდ ისეთ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც არ არის დასრულებული ამ თარიღისთვის. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება სტანდარტი გამოეყენებინა ყველა ხელშეკრულებასთან მიმართებაში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 15-ის მიღებას არსებითი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. შესაბამისად, შედარებადი ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი და მისი აღრიცხვა გრძელდება ბასს (IAS) 11-ის, ბასს (IAS) 18-ის და შესაბამისი ინტერპრეტაციების საფუძველზე.

სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიის საქმიანობის შესაბამისი ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციას, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს, გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

ფასიკ (IFRIC) 22-ის ინტერპრეტაცია „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS)15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

ნასყიდობის ხელშეკრულებების უმრავლესობაში წინასწარ გადახდის პირობაა ჩადებული, შესაბამისად კომპანია სავაჭრო დებიტორული დავალიანების მნიშვნელოვან ნაშთს არ ფლობს.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. ამ დანახარჯებში ასევე შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

უმნიშვნელო შეკეთების და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ცვეთა გამოითვლება აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებზე დარიცხვის წრფივი მეთოდით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	7-17 წელი
ტრანსპორტი	10 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5-7 წელი
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	7-20 წელი

ამასთან, კომპანიის საწარმოო ერთეულებს სჭირდებათ კატალიზატორები, რომლებიც ეხმარება მათ ქიმიური ნაერთების სინთეზში, უკეთესი წმენდის მიზნით. კატალიზატორის მოწყობილობები მდიდრდება ქარხნის გეგმიური ყოველწლიური სარემონტო სამუშაოების პარალელურად. კომპანია კატალიზატორის დანახარჯებს აღრიცხავს ძირითად საშუალებებად და ამოწურვის ხარჯს წინასწარ აფასებს ფაქტობრივი ამოწურვის ისტორიულ და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ნამეტი შემოსავალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმავე წელში, რომელშიც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის გაუფასურების დასადგენად მისი წლიური შემოწმებაა საჭირო, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ვალდებულებების რეზერვი და რეზერვის დარიცხვა

ვალდებულებების რეზერვები და სარეზერვო დანარიცხვები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე ვალდებულებებს. ისინი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება სესხის დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ნაკისრი ვალდებულებების ხარჯის ნაწილში.

საოპერაციო იჯარა

თუ კომპანია მოიჯარედ გამოდის ისეთი ტიპის იჯარაში, რომლითაც მეიჯარე საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა არსებით რისკსა და სარგებელს არ გადასცემს კომპანიას, მთლიანი საიჯარო გადასახადი წრფივი მეთოდით დარიცხება იჯარის მთელ ვადაზე მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში. იჯარის ვადა ნიშნავს პერიოდს, რომელიც არ შეიძლება შეწყდეს და რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება აქტივის იჯარაზე, ნებისმიერი მომდევნო ვადებით, რომლებითაც მოიჯარეს შეუძლია აქტივის იჯარის გაგრძელება შემდგომი ანგარიშსწორებით ან მის გარეშე, თუ იჯარის დასაწყისშივე არის გონივრული მოლოდინი, რომ მოიჯარე ამ შესაძლებლობას გამოიყენებს.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მფლობელობაში არსებული არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა სასრულია და ისინი აღრიცხულია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალურ აქტივებში შედის შემენილი სავაჭრო ნიშნები და პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები. მათი ამორტიზაცია ხორციელდება ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდით მათ მოსალოდნელ სასარგებლო გამოყენების ვადაზე (1-10 წელი), დაწყებული იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი გახდა მოხმარებისთვის.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალებისა და, შესაბამის შემთხვევებში, შრომის პირდაპირ დანახარჯებს და იმ ზედნადებს ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების მათ ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის საკარაულო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯი. წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და დაუმთავრებელი წარმოების შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს ჩვეულებრივი საოპერაციო სიმძლავრის პირობებში ზედნადები ხარჯის შესაბამის ნაწილს.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში შედის ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში, რომელიც მოიცავს მოთხოვნამდე საბანკო ანაზრებს, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება წარმოიშობა საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშგაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშგაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. როდესაც იქმნება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით. დღგ შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წინასწარ გადახდილი გადასახადების მუხლში, მოგების გადასახადის გარდა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის ნამეტი შემოსავლის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციის შედეგად მიღებული ნამეტი შემოსავალი ან ზარალი აისახება წმინდა საკურსო ზარალის ან მოგების მუხლის მოგებაში ან ზარალში.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სეზ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია ნამეტი შემოსავლის თანხით შემცირებულ საკურსო ზარალში. სეზ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად იყო 2.6766 და 2.5922 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხებისა და რეზერვების, სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადაეცემა მყიდველს, მოსალოდნელია ანაზღაურების თანხის ამოღება, დაკავშირებული დანახარჯები და საქონლის შესაძლო დაბრუნების შეფასება სარწმუნოდ შეიძლება და საქონლის მართვაში მონაწილეობა არ არის შენარჩუნებული.

რისკებისა და სარგებლის გადაცემა სხვადასხვაგვარად ხდება და დამოკიდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების ინდივიდუალურ პირობებზე. გადაცემა შეიძლება მოხდეს პროდუქტის კომპანიის საწყობებიდან გატანისას (ძირითადად, ქვეყნის ფარგლებში ტრანსპორტირებისთვის), საქონლის შესაბამის გადაშხიდელოზე დატვირთვისას, ან კლიენტის მიერ მითითებულ დანიშნულების ადგილამდე მიტანისას. სადისტრიბუციო ხარჯების აღიარება მათი გაწევისთანავე ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ნასყიდობის ხელშეკრულებების უმრავლესობაში წინასწარ გადახდის პირობაა ჩადებული.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. არ არსებობს კომპანიის საქმიანობისთვის აქტუალური სტანდარტები/ინტერპრეტაციები/ცვლილებები, რომლებმაც შეიძლება რამე გავლენა იქონიონ კომპანიაზე, ან რომელთა გავლენებიც ამჟამად ფასდება.

ფასს (IFRS) 16 – „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განესაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე.ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს (IAS) 17-ის მიხედვით და გამოიწივს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს (IFRS) 16-ით, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, როგორც მოიჯარეებს, ისე – მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს (IAS) 17-ის საფუძველზე ხდებოდა.

ფასს (IFRS) 16-ზე გადასვლა

კომპანიამ ფასს (IFRS) 16 მიიღო მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. კომპანიამ აღიარა კუმულატიური გატარება 2019 წლის 1 იანვარს, წინა პერიოდის შედარებითი ფინანსური ინფორმაციის გადანგარიშების გარეშე. გარდამავალ პერიოდში, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს ადრე საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარებისთვის ბასს (IAS) 17-ის გამოყენებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, თავდაპირველი აღიარების თარიღში ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით დისკონტირების გზით. აღიარებულ საიჯარო ვალდებულებებში შესულია მხოლოდ ფასს (IFRS) 16-ში მითითებული საიჯარო გადასახდელები. ცვლადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე და რომლებიც არსებითად ფიქსირებული არ არიან, როგორც არის საბაზისო აქტივის მაჩვენებელზე ან გამოყენებაზე დაფუძნებული საიჯარო გადასახდელები, არ არის ასახული აღიარებულ საიჯარო ვალდებულებებში. კომპანიამ ასევე აღიარა გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი ამგვარი იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც იცვლება თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ იჯარასთან დაკავშირებით ნებისმიერი ავანსად გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდების გათვალისწინებით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)**

მოსალოდნელია, რომ ფასს (IFRS) 16-ის მიღებას გავლენა ექნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, შემდეგი სახით:

	2019 წლის 1 იანვარი
ძირითადი საშუალებები (გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები)	40,086
სულ აქტივები	40,086
საიჯარო ვალდებულება	40,086
სულ ვალდებულებები	40,086

ფასს (IFRS) 16-ის მიღების შემდეგ, კომპანიის საიჯარო დანახარჯი შემცირდება, ხოლო მისი საპროცენტო ხარჯი და სამორტიზაციო ანარიცხები გაიზრდება. ეს გამოწვეულია საიჯარო დანახარჯების აღრიცხვის ცვლილებით, რომელიც კლასიფიცირებულია საოპერაციო იჯარებად, ბასს (IAS) 17-ის საფუძველზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

სასამართლო დავები

კომპანია მეტწილად თავისი სუბიექტური განსჯის საფუძველზე აფასებს და აღიარებს ანარიცხებს და მიმდინარე სასამართლო დავებთან დაკავშირებით პირობითი ვალდებულებების ან მორიგების საფუძველზე სხვა ასანაზღაურებელი მოთხოვნების, შუამავლობისა თუ არბიტრაჟის რისკების მოცულობას, და სხვა პირობით ვალდებულებებს. განსჯის გამოყენება აუცილებელია მოთხოვნის დაკმაყოფილების ან ვალდებულებების წარმოშობის ალბათობის შეფასებისთვის, ასევე საბოლოო გადასახდელი თანხის მიახლოებით განსაზღვრისთვის. შეფასების ამ პროცესისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის გამო, ფაქტობრივი ზარალი შეიძლება განსხვავდებოდეს წინასწარ შეფასებული რეზერვის მოცულობისგან. ეს წინასწარი შეფასებები ექვემდებარება ცვლილებას, როდესაც ახალი ინფორმაცია ხდება ცნობილი. შეფასებების გადასინჯვამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სამომავლო საოპერაციო შედეგებზე (მე-19 შენიშვნა).

უძრავი ქონების იჯარის კლასიფიკაცია

2018 და 2017 წლებში კომპანიამ იჯარით აიღო ძირითადი საშუალებები სს „EU Investments-ისგან“ (1-ლი შენიშვნა). კომპანიამ ამ გარიგებების პირობების შეფასების საფუძველზე (მაგ., იჯარის ვადა არ შეადგენს კომერციული უძრავი ქონების ეკონომიკური მომსახურების ვადის უმთავრეს ნაწილს და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება არსებითად არ შეადგენს კომერციული ქონების სამართლიანი ღირებულების მთლიან ოდენობას) განსაზღვრა, რომ სს „EU Investments“ ინარჩუნებს ამ ქონების საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს და ხელშეკრულებებს აღრიცხავს საოპერაციო იჯარების სახით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანია განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. ამისთვის საჭიროა იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულების დადგენა, რომელზეც ერთეულია განაწილებული. გამოყენების ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების გაანგარიშებას და ასევე შესაფერისი დისკონტური განაკვეთის შერჩევას ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულების გამოთვლის მიზნით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნედლეულის და მასალების, დაუმთავრებელი წარმოების და მზა პროდუქციის წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შეფასება ყველაზე ობიექტურ მტკიცებულებას ეფუძნება, რომელიც შეფასების მომენტშია ხელმისაწვდომი. ეს შეფასებები ითვალისწინებს ფასის და თვითღირებულების მერყეობას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ანგარიშგების თარიღის შემდეგ წარმოშობილ მოვლენებს იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი მოვლენები დაადასტურებენ პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებს (მე-7 შენიშვნა).

6. ძირითადი საშუალებები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებში შემდეგი ცვლილებები დაფიქსირდა:

	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ტრანსპორტი	ავეჯი და მოწყობილობები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	დაუმთავრებელი შენიშვნა	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბერს	162	34	25	8,530	383	9,134
შესყიდვები	149	147	33	9,010	23,669	33,008
გასვლები	—	—	—	—	(210)	(210)
გადატანები	2,141	—	—	—	(2,141)	—
პირვანდელი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	2,452	181	58	17,540	21,701	41,932
დაგროვილი ცვეთა და ამოწურვა						
2017 წლის 31 დეკემბერს	8	2	5	1,085	—	1,100
ცვეთის და ამოწურვის დანარიცხი	101	6	8	1,569	—	1,684
2018 წლის 31 დეკემბერს	109	8	13	2,654	—	2,784
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბერს	154	32	20	7,445	383	8,034
2018 წლის 31 დეკემბერს	2,343	173	45	14,886	21,701	39,148

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებში შემდეგი ცვლილებები დაფიქსირდა:

	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ტრანსპორტი	ავეჯი და მოწყობილობები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2017 წლის 1 იანვარს	–	–	–	–	–	–
შესყიდვები	162	34	25	8,530	383	9,134
პირვანდელი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	162	34	25	8,530	383	9,134
დაგროვილი ცვეთა და ამოწურვა						
2017 წლის 1 იანვარი	–	–	–	–	–	–
ცვეთის და ამოწურვის დანარიცხი	8	2	5	1,085	–	1,100
2017 წლის 31 დეკემბერი	8	2	5	1,085	–	1,100
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 1 იანვარი	–	–	–	–	–	–
2017 წლის 31 დეკემბერი	154	32	20	7,445	383	8,034

2018 წლის შემოსვლები დაუმთავრებელ მშენებლობაზე მოიცავს 20,927 ლარის „კარბამიდის გრანულირების ქარხანას“, რომელიც მშობელმა კომპანიამ შეიტანა საწესდებო კაპიტალში (მე-10 შენიშვნა). კომპანია აპირებს კარბამიდის წარმოების დაწყებას მომავალში.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები მთლიანად დაგირავდა მშობელი კომპანიის, სს „EU Investments“-ის მიერ საქართველოს ბანკისგან აღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების შესყიდვა, დღგ-ის ჩათვლით.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	28,784	35,155
სათადარიგო ნაწილები	5,059	5,844
ნედლეული	6,684	4,118
კონტეინერები და შესაფუთი მასალები	3,214	3,571
დაუმთავრებელი წარმოება	1,904	1,299
სხვა მარაგები	7,888	7,444
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	53,533	57,431

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ აღიარა 40,397 ლარის სასაქონლო-მატერიალური მარაგები ხარჯად (2017 წლის განმავლობაში: 22,174 ლარი).

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასაქონლო-მატერიალური მარაგები მთლიანად დაგირავდა მშობელი კომპანიის, სს „EU Investments“-ის მიერ საქართველოს ბანკისგან აღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>
ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღიარებული სავაჭრო მოთხოვნები	40,230	40,230
სავაჭრო მოთხოვნები კლიენტების მიმართ	117	2,049
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, მთლიანი	40,347	42,279
გამოკლებული ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღიარებული სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(40,230)	(40,230)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა	117	2,049

ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღიარებული სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს ყოფილი მფლობელის, რუსთავის აზოტის ქარხნის, მიმართ რეგრესულ მოთხოვნებს, რომლებიც აღიარებულია ნაკისრი ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებით (1-ლი შენიშვნა). 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ეს დებიტორული დავალიანებები სრულად იყო დაფარული.

კლიენტებისგან სავაჭრო დებიტორული დავალიანება არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9. გადახდილი ავანსები

	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>
წინასწარ გადახდილი იჯარა	22,595	9,898
სულ გადახდილი ავანსები	939	2,115
სულ გადახდილი ავანსები	23,534	12,013

წინასწარ გადახდილი იჯარა მოიცავს მშობელი კომპანიის მიმართ ძირითადი საშუალებების იჯარასთან დაკავშირებულ გადახდებს

10. კაპიტალი**საწესდებო კაპიტალი**

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 50,000 გამოშვებული აქციისგან, რომელთაგან ყველა სრულად არის განაღდებული. 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 0.001 ლარია.

2018 წელს მშობელმა კომპანიამ კომპანიის სააქციო კაპიტალში განახორციელა 20,927 ლარის ძირითადი საშუალებების შენატანი (მე-6 შენიშვნა).

2017 წელს მშობელმა კომპანიამ კომპანიის საწესდებო კაპიტალში 11,903 ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური მარაგები შეიტანა.

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე შეზღუდვები. კომპანიას ჯერ არ შეუმუშავებია კაპიტალის მართვის პოლიტიკა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

11. მიღებული ავანსები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
უცხოელი კლიენტებისგან მიღებული ავანსები	44,655	57,177
ადგილობრივი კლიენტებისგან მიღებული ავანსები	105	597
სულ მიღებული ავანსები	44,760	57,774

უცხოელი კლიენტებისგან მიღებული ავანსები გამოხატულია აშშ დოლარში, ხოლო ადგილობრივი კლიენტებისგან მიღებული ავანსები – ლარში.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქონლის მისაწოდებლად მიღებული მოკლევადიანი ავანსების მთლიანი ღირებულება სახელშეკრულებო ვალდებულებებს წარმოადგენს. 2018 წელს შემცირდა ამ ანგარიშების დაუფარავი ნაშთი მიღებული ავანსების მნიშვნელოვანი კლების და წლის განმავლობაში მთავარი კლიენტისგან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდის გამო, რომელშიც გამოიყენებოდა წინა წლებში მიმდინარე წლისთვის გადახდილი ავანსები.

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	13,359	11,704
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	2,921	1,329
ნაკისრი ვალდებულებები (1-ლი შენიშვნა)	–	10,590
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16,280	23,623

13. შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი ამონიუმის ნიტრატის გაყიდვიდან	253,808	174,429
შემოსავალი სოდიუმის ციანიდის გაყიდვიდან	69,346	39,499
შემოსავალი ამონიუმის სულფატის გაყიდვიდან	3,543	1,290
შემოსავალი აზოტის მჟავის გაყიდვიდან	1,739	1,235
შემოსავალი სხვა გაყიდვებიდან	1,693	800
სულ შემოსავალი	330,129	217,253

14. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2018	2017
ბუნებრივი აირი	123,600	81,245
ელექტროენერგია	37,657	24,476
ხელფასები და შესაბამისი ხარჯები	23,184	11,141
კაუსტიკური სოდა	21,189	10,964
შესაფუთი მასალები	10,034	5,116
ამოწურვა	839	644
ცვეთა	501	150
სხვა	11,618	7,563
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	228,622	141,299

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

15. დისტრიბუციის ხარჯები

	2018	2017
სარკინიგზო ხარჯები	15,650	11,338
საპორტო ხარჯები	7,386	5,823
სხვა	3,740	1,710
სულ დისტრიბუციის ხარჯები	26,776	18,871

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასები	5,995	9,645
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა	1,004	898
სხვა მომსახურების ხარჯები	929	648
ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების ხარჯები	762	619
სხვა	920	1,411
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	9,610	13,221

სხვა მომსახურების ხარჯებში შედის კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის 27 ლარის ოდენობით (10 ათასი აშშ დოლარი, დღგ-ის გარეშე).

17. სხვა შემოსავალი

	2018	2017
მასალების გაყიდვა	6,877	632
სხვა მომსახურების გაყიდვა	561	507
სხვა შემოსავალი	237	50
სხვა შემოსავლები, სულ	7,675	1,189

18. სხვა ხარჯები

	2018	2017
ქველმოქმედებაზე გაწეული ხარჯები	7,987	379
გაყიდული არასაწარმოო მასალების თვითღირებულება	1,456	534
ხელფასები და ქარხანაზე გაწეული დანახარჯები	1,164	1,432
აორთქლებული ჟანგბადის ხარჯი	804	944
სხვა	348	333
სხვა ხარჯები, სულ	11,759	3,622

2018 წლისთვის, საქველმოქმედო დანახარჯები მოიცავს შემოწირულობა არაკომერციულ ფონდში „სიცოცხლის ხე“ 7,392 ლარის (3,000 ათასი აშშ დოლარი) ოდენობით, სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარების ფართომასშტაბიანი სახელმწიფო პროგრამის წასახალისებლად.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. პირობითი ვალდებულებები

გაცემული გარანტიები

კომპანიამ გააფორმა საგარანტიო ხელშეკრულება შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი მფლობელების კონტროლის ქვეშ არსებული ერთეულების გარკვეული სესხების უზრუნველსაყოფად (1-ლი შენიშვნა). გარანტია გაცემულია საქართველოს ბანკის სესხზე მთლიანი ღირებულებით 19,718 ათასი აშშ დოლარი (52,777 ლარი). 2017 წლის ნოემბრის თვეში, საქართველოს ბანკმა წამოიწყო სასამართლო საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში, შპს „რუსთავი აზოტის“ ყოფილი მფლობელების კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების და კომპანიის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვდა სესხის დაფარვას, დარიცხულ პროცენტთან და ჯარიმებთან ერთად, ასევე უზრუნველყოფის საგნების იპოთეკის და გირაოს აღსრულებას. 2018 წლის თებერვალში საქართველოს ბანკმა კომპანიას დაარიცხა მთლიანი თანხა 1,232 ლარი (0,5 მილიონი აშშ დოლარი). შესაბამისი თანხა კომპანიამ გადაიხადა 2018 წლის 6 თებერვალს (1-ლი შენიშვნა). გაცემული ვალდებულების ანარიცხი შესულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებების და დარიცხვების ანარიცხებში, ხოლო შესაბამისი დანარიცხი და შემობრუნება აღიარებულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნაკისრი ვალდებულებების შემობრუნების / (ხარჯში გატარების) სახით.

დავა შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილ თანამშრომლებთან

კომპანიას აქვს დავა შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილ თანამშრომლებთან. მოსარჩელები არიან შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც კომპანიამ 2017 წელს არ დაიქირავა. ისინი ითხოვენ იმ თანამდებობებზე აღდგენას, რომლებიც მათ ეკავათ შპს „რუსთავი აზოტში“ და ასევე ფულად კომპენსაციას დაახლოებით 500 ლარის ოდენობით. 2018 წლის 28 მარტს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა მოსარჩელების მოთხოვნა. 2018 წლის 27 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა განაჩენი და ბრძანა გადაწყვეტილების სასწრაფო წესით აღსრულება შპს „რუსთავი აზოტის“ 11 ყოფილი თანამშრომლის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში. 2018 წლის 10 დეკემბერს, მოსარჩელებმა მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენის სასწრაფო წესით აღსრულების მოთხოვნით მიუღებელი ხელფასების ანაზღაურების ნაწილში, რაც სასამართლო უწყებამ არ დააკმაყოფილა. მიუხედავად ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს უწყება კომპანიამ კერძო სარჩელით გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, კომპანიის ხელმძღვანელობა არ მიიჩნევს, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და მოელის, რომ საკასაციო გადაწყვეტილება გააუქმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

გადასახადები

კომპანიამ დაფარა ყოფილ შპს „რუსთავი აზოტთან“ ნაკისრი ვალდებულებები 10,590 და 29,981 ლარის ოდენობით, 2018 და 2017 წლების განმავლობაში (შესაბამისად). ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს გადახდები საჭირო იყო კომპანიის ოპერაციებისთვის და შესაბამისად ისინი უკავშირდება მის ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის განმარტების თანახმად და, შესაბამისად, არ ექვემდებარება გადასახადით დაბეგვრას. ეს გადახდები, რომლებიც საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის მიზნებისთვის კლასიფიცირებულ გადახდებად კლასიფიცირდება, სადივიდენტო გადასახადი დარიცხვა უნდა განხორციელდეს 15/85 განაკვეთით.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

20. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ქართულ ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებს და სამ თვემდე თავდაპირველი ვადის მქონე მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

ნაღდი ფულის ყველა ნაშთი ბანკში მიმდინარეა და არ არის გაუფასურებული.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ფინანსურ ვალდებულებებში შედის 26,793 ლარის (10,010 ათასი აშშ დოლარის) (2017 წ.: 25,922 ლარი) სამომავლო გაყიდვებში მიღებული ავანსის ფიქსირებული თანხა, რომელიც უნდა დაიფაროს ნაღდი ფულით ან პროდუქტის მიწოდებით, კლიენტისგან შეტყობინების მიღებიდან ექვს თვეში.

სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, სავაჭრო კრედიტორული დავალიანების და სხვა ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები (სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონე) უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებებს ძირითადად ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი

მისი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, კომპანია სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებს ექვემდებარება, ხოლო კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებზე იზღუდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის მატარებელი აქტივების და მცურავი კურსის მქონე პროცენტის ფინანსური ინსტრუმენტების არარსებობის გამო. კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

20. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16,280	–	–	–	16,280
სხვა ფინანსური ვალდებულებები	–	26,793	–	–	26,793
სულ მომავალი გადახდები	16,280	26,793	–	–	43,073
	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	23,623	–	–	–	23,623
სხვა ფინანსური ვალდებულებები	–	25,922	–	–	25,922
სულ მომავალი გადახდები	23,623	25,922	–	–	49,545

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალუტო რისკი უკავშირდება აშშ დოლარში გამოხატულ სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

ვალუტა	ზრდა/შემცირება, % 2018	გავლენა მოგებაზე 2018
აშშ დოლარი	11.00%	3,065
აშშ დოლარი	-11.00%	(3,065)

ვალუტა	ზრდა/შემცირება, % 2017	გავლენა ზარალზე 2017
აშშ დოლარი	13.50%	1,438
აშშ დოლარი	-9.50%	(1,012)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ განიცადოს ზარალი, თუ მისი კლიენტები ან მომწოდებლები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

20. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი (გაგრძელება)

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტები, გარდა შემდეგისა:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 350 და 7,213 ლარის (შესაბამისად) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ინახებოდა „Standard & Poor“-ის „BB-/bb-“, „Moody“-ს „B1/NP“ (FC) და „Ba3/NP“ (LC)-ს და „Fitch Ratings“-ის „BB-/bb-“ რეიტინგების მქონე ბანკებში;
- ▶ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (იხილეთ მე-9 შენიშვნა);
- ▶ 52,777 ლარის (19,718 ათასი აშშ დოლარი) (2017 წ.: 51,113 ლარი) მაქსიმალური მოცულობით გაცემული ფინანსური გარანტიები (მე-19 შენიშვნა).

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს ავანსების დაუფარავი ნაშთები (მე-9 შენიშვნა) მშობელი კომპანიის მიმართ, 22,595 ლარის (2017 წ.: ავანსები (მე-9 შენიშვნა) და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება მშობელი კომპანიის მიმართ 9,898 ლარის და 5,608 ლარის (შესაბამისად) ოდენობით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელ კომპანიასთან დაკავშირებით გაიწია საიჯარო ხარჯები 20,670 ლარის ოდენობით (2017 წ.: 25,881 ლარი).

დირექტორების ანაზღაურება

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში შედიან კომპანიის დირექტორები. სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელი პირებისთვის (კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ექვსი წევრი) გადახდილი შრომის ანაზღაურება შედგება ხელფასისა და წამახალისებელი პრემიისგან.

22. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 16 და 19 სექტემბერს, მშობელი კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოისყიდა 12,500 და 9,375 საკუთარი აქციები 8,200 ლარის და 6,150 ლარის ოდენობით, შესაბამისად, და გააუქმა ოპერაციის დასრულებისთანავე. ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღში, გადაწყვეტილება ოფიციალურად არ არის რეგისტრირებული საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეესტრში.


წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

სს „რუსთავის აზოტი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის



შინაარსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა	2
1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	2
2. საოპერაციო გარემო.....	2
3. საქმიანობის მიმოხილვა	2
4. ხარისხის მართვა	2
5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები.....	3
არაფინანსური ანგარიში	3
6. არაფინანსური მაჩვენებლები.....	3
7. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.....	3
8. სოციალური პასუხისმგებლობა	3
9. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა.....	4
10. გარემოსდაცვითი საკითხები	4
11. საკადრო პოლიტიკა	4
12. განვითარების გეგმები	5


ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „რუსთავის აზოტის“ აქციონერებსა და მენეჯმენტს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 30 სექტემბერს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთა წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 30 ოქტომბერი

საქმიანობის მიმოხილვა

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „რუსთავის აზოტი“ („კომპანია“) 2016 წლის 13 სექტემბერს დარეგისტრირდა საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404519794. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მინერალური სასუქებისა და ინდუსტრიული ქიმიკატების წარმოება. კომპანიის ძირითადი პროდუქტებია ნატრიუმის ციანიდი და ამონიუმის გვარჯილა. კომპანიის ძირითადი აქტივია რუსთავში მდებარე რუსთავის აზოტის ქარხანა.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია მშვიდობის ქუჩა 2, რუსთავი, საქართველო.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100% ფლობს სს „ეუ ინვესტმენტს“ („მშობელი კომპანია“), რომლის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელია საქართველოს მოქალაქე ევრემ ურუშაშვილი.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიას უჭირავს მყარი პოზიციები შიდა და მსოფლიო ბაზარზე. მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, კომპანიამ ქართულ და საერთაშორისო ბაზარზე მყარად დაიმკვიდრა ადგილი, როგორც საიმედო პარტნიორმა. ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზებით კომპანია მუდმივად აფართოებს საქმიანობის გეოგრაფიას.

სს „რუსთავის აზოტის“ უპირატესობა ბაზარზე ხასიათდება, რამდენიმე ფაქტორით:

- გამორჩეული გამოცდილების მქონე, ძლიერი მმართველი გუნდი.
- რუსთავის აზოტის ქარხანას აქვს შესანიშნავი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და პროდუქციის ექსპორტირების შესაძლებლობა. (რუსთავი-გარდაბანი-თბილისი-აზერბაიჯანი-სომხეთის რკინიგზა და შავი ზღვის, ბათუმისა და ფოთის პორტები).
- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სპეციალური საერთაშორისო საგადასახადო შეღავათები პროდუქციაზე.
- თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მიღწეული მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება.
- ინდივიდუალური მიდგომა თითოეული მომხმარებლის მოთხოვნებისა და შეხედულებებისადმი.
- „რუსთავის აზოტი“ მუშაობს საერთაშორისო რეგულაციების, ნორმების სრული დაცვით. კომპანიის მენეჯმენტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს, როგორც გარემოს, ასევე თანამშრომლების უსაფრთხოებას.
- კომპანიას გააჩნია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გარემოს დაცვის პროგრამა და წარმოების პირობები ყოველთვის შესაბამისობაშია დადგენილ ნორმებთან, კომპანია ცდილობს გააუმჯობესოს დადგენილი ნორმები.

3. საქმიანობის მიმოხილვა

საწარმოს სპეციალიზაცია არის მინერალური სასუქების, ასევე ამიაკის, ნატრიუმის ციანიდის, აზოტმჟავას, ამიაკის წყლის და სხვა პროდუქციის წარმოება.

4. ხარისხის მართვა

კომპანიას გააჩნია ცენტრალური ლაბორატორია, რომელიც პასუხისმგებელია ხარისხის სერტიფიცირებაზე შემდეგ პროცესებზე:

- შესყიდული ნედლეულის ხარისხის მაჩვენებლებზე, რათა თავიდან აიცილოს გამოუსადეგარი ნედლეულის საწარმოო პროცესში გამოყენება;
- გამომუშავებული პროდუქციის პერიოდული შემოწმება ხარისხის დაცვის კუთხით;

5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

„რუსთავის აზოტის“ შემოსავლის ძირითადი წყარო არის მინერალური სასუქების, ასევე ამიაკის, ნატრიუმის ციანიდის, აზოტმჟავას, ამიაკის წყლის და სხვა პროდუქციის წარმოება და გაყიდვა. შემოსავლების 97.9% არის ამონიუმის გვარჯილისა (76.9%) და ნატრიუმის ციანიდის (21%) გაყიდვიდან.

გაყიდული საქონლის თვითღირებულების ნაწილში ძირითადი დანახარჯების 70.53% წარმოადგენს ბუნებრივი აირისა (54.06%) და ელექტროენერგიის (16.47%) ხარჯს. კომპანიის აქტივების 41.56%-ს შეადგენს მარაგები 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით.

არაფინანსური ანგარიში

6. არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საწარმოო სიმძლავრეები შემდეგია:

ამიაკი (1 აგრეგატი AM-600) – 230,000 ტ/წ, აზოტმჟავა - 400,000 ტ/წ, ამონიუმის გვარჯილა - 500 000 ტ/წ, ამონიუმის სულფატი - 10 000 ტ/წ, ნატრიუმის ციანიდი - 13 700 ტ/წ..

7. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანიას აქვს ცალკე დეპარტამენტი „უსაფრთხოების ქვედანაყოფი“, რომელიც პასუხისმგებელია შიდა საწარმოო და გარე ადმინისტრაციული თაღლითობის, კორუფციის და სხვა მსგავს დანაშაულებებთან ბრძოლაში, შემდეგი კონტროლების საშუალებით:

- ვიდეო მეთვალყურეობა საწარმოს ტერიტორიაზე;
- ქარხნის ტერიტორიაზე შემავალი და გამომავალი მსუბუქი ავტომობილების, მძიმე ტექნიკის და ფიზიკური პირების საგულდაგულოდ შემოწმება, საშვის დაშვება, საშვის გაუქმება - რათა არ მოხდეს არა დაშვებული ნივთების შეტანა ან გამოტანა;
- ნედლეულის და სხვა ფასეულობების პერიოდული შემოწმება, ინვენტარიზაცია; მათ შორის ნედლეულის საცავებში სპეციალური მოწყობილობებით ჩასვლა და დონის განსაზღვრა;
- სხვა ღონისძიებები

8. სოციალური პასუხისმგებლობა

„რუსთავის აზოტის“ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. ამ მიზნით, საწარმოო პროცესი ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად. საწარმოო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად დაცულია თანამშრომლების შრომის უსაფრთხოების სტანდარტები. აგრეთვე ტარდება საწარმოო ტრამპეზისა და პროფესიული დაავადებების მუდმივი პროფილაქტიკა, ხორციელდება თანამშრომლებისთვის შრომის უსაფრთხოების და დაცვის ნორმების სწავლება და შემდგომში შესაბამისი ცოდნის შემოწმება და კონტროლი. კომპანია, თავის თანამშრომლებს უზრუნველყოფს სოციალური პაკეტით, რაც გულისხმობს დამატებით საშვებულებო დღეებს, უფასო სანატორიულ დასვენებას, ჯანმრთელობის სადაზღვევო პაკეტს და სხვა პრივილეგიებს. თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, კომპანიის მენეჯმენტმა შეიმუშავა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა სადაზღვევო კომპანიასთან ერთად და დააზღვია ქარხნის ყველა თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები, რაც დაახლოებით 5 000 ადამიანს შეადგენს. ამ პროექტის ფარგლებში „რუსთავის აზოტის“ ტერიტორიაზე მოქმედებს სამედიცინო პუნქტები, სადაც ყველა თანამშრომელს საშუალება აქვს ისარგებლოს დაზღვევის პროგრამით და ტერიტორიიდან გაუსვლელად მიიღოს უმაღლესი ხარისხის და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება და კონსულტაცია.

9. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა

საქველმოქმედო ფონდი „თანადგომა“

სს „რუსთავის აზოტის“ მენეჯმენტის გადაწყვეტილებით დაფუძნდა საქველმოქმედო ფონდი „თანადგომა“. ფონდის შექმნის ძირითადი მიზანი არის თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სოციალური პრობლემების მოგვარება. გარდა იმ თანხებისა, რასაც კომპანია სტაბილურად გასცემდა დახმარების სახით ქორწინების, ბავშვის დაბადების, ოჯახის შექმნის ან ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე იყო უამრავი განცხადება მატერიალურ დახმარებაზე. ძირითადად ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ შექმნილიყო საქველმოქმედო ფონდი, რომელიც „რუსთავის აზოტის“ თანამშრომლებს ამ პრობლემებს მეტნაკლებად მოუგვარებდა. დაარსებიდან რამდენიმე დღეში საწარმოს თანამშრომლები გაერთიანდნენ ფონდში და ამ სახით ნებაყოფლობით გამოხატეს საკითხისადმი თანადგომა. ფონდი მხოლოდ თანამშრომელთა შემოწირული თანხებით არ მუშაობს, იმ თანხას, რასაც ყოველთვიურად შემოწირულობის სახით, გაიღებენ საწარმოს თანამშრომლები, აორმაგებს კომპანია. ამ ერთიანი თანხით ხდება დახმარება და პრობლემების ნაწილობრივ, ან მთლიანად მოგვარება არა მხოლოდ თანამშრომლების, არამედ მათი ოჯახის წევრებისაც. ფონდის საქმიანობას მართავს სამკაცრიანი სამეთვალყურეო საბჭო და საწარმოებიდან არჩეული წარმომადგენლები, რომლებიც სვამენ წინადადებებს და აყენებენ მათ წინაშე მდგარ პრობლემებს. ფონდის საქმიანობის ანგარიშის წარმოდგენა ხდება ყოველთვიურად კომპანიის თანამშრომლებისთვის შიდა კომუნიკაციისა და ვებ-გვერდის საშუალებით.

10. გარემოსდაცვითი საკითხები

საწარმოს გააჩნია გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ნარჩენების მართვის გეგმა, რომელსაც პერიოდულად ხვეწავს რათა თანხვედრაში იყოს უახლეს ნორმატივებთან და გარემოს ზემოქმედების კანონმდებლობასთან.

კომპანია პერიოდულად მოწმდება გარემოზე ზემოქმედების კუთხით და მაქსიმალურად ცდილობს გაითვალისწინოს ყველა შენიშვნა თუ რეკომენდაცია.

კომპანია ასევე თანამშრომლობს სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან და ღებულობს სერტიფიცირებას ამონიუმის გვარჯილის უვნებლობაზე.

11. საკადრო პოლიტიკა

კომპანიის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს მისი თანამშრომლები წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, „რუსთავის აზოტის“ პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანური რესურსების სწორად მართვა და საკადრო პოლიტიკის ეფექტურად დანერგვა საწარმოში. დღეს 2 ათასზე მეტი ადამიანია დასაქმებული „რუსთავის აზოტში“. თანამშრომელთა მოტივაცია, მათი სწავლება-განვითარება, სათანადო პირობების შექმნა, დისციპლინისა და საქმისადმი თავდადების განვითარება წარმოადგენს განმსაზღვრელ და აუცილებელ ფაქტორს იმისათვის რომ საწარმომ მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

სამუშაო გარემო

კომპანიის მენეჯმენტი, ზრუნავს თანამშრომლებისთვის ოპტიმალური სამუშაო გარემოს შექმნასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე. ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდების და სტანდარტების შესაბამისად კომპანია საკადრო პოლიტიკას ახორციელებს შრომითი შინაგანაწესის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის რეგულირების, პერსონალის შერჩევის, თანამშრომელთა სწავლების, თანამშრომელთა განვითარების, შრომითი ანაზღაურების და წახალისების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების და სხვა ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კარიერული განვითარება

ქარხანაში დანერგილია პერსონალის შერჩევის თანამედროვე პროცედურები რაც მოიცავს კანდიდატის ძებნას, შეფასებას, განსაზღვრასა და ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნას. კანდიდატის შერჩევისას განიხილება როგორც გარე ასევე შიდა კანდიდატურები. კანდიდატის საბოლოო შეფასება კი ხორციელდება ვაკანტური თანამდებობიდან გამომდინარე განათლებისადმი მოთხოვნის, სამუშაო გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის, საქმიანი თვისებები, ზოგადი უნარების, აგრეთვე ტექნიკური უნარების შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტი გამოცდილი პროფესიონალების დახმარებით ახორციელებს ახალგაზრდა კადრების მომზადებას და განვითარებას. „რუსთავის აზოტის“ საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდა თაობის ცოდნის გაღრმავება წარმოადგენს, რასაც ქარხანა საკუთარი, ქიმიაში გამოცდილი, მაღალკვალიფიციური კადრის ხელშეწყობით ახორციელებს.

11. საკადრო პოლიტიკა (გაგრძელება)

სამსახურის მიღმა

სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისა და კორპორაციული კულტურის განვითარებისთვის კომპანია პერიოდულად მართავს სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს და შეხვედრებს. ასეთი მიდგომით ჩვენ ვწერავთ გუნდურ სულისკვეთებას და ვქმნით გარემოს, სადაც თანამშრომლები აძლიერებენ ერთმანეთს.

12. განვითარების გეგმები

2018 წლის თებერვალში კომპანიამ ხელი მოაწერე ორთქლის ტურბინის ხელშეკრულებას „სიმენსთან“, რის საფუძველზეც ის აპირებს 9 მეგავატი სიმძლავრის ტურბინის დამონტაჟებას ქარხნის ტერიტორიაზე და შესაბამისად მის ერთ-ერთ საამქროში, კერძოდ აზოტმჭავაში ჭარბი ორთქლის უტილიზაციას და მიმართვას ტურბინისკენ. საშუალო უტილიზაცია ტურბინის იქნება დაახლოებით 80%. კომპანია დაახლოებით 300,000,000 კვ ელექტრო ენერგიას ხმარობს საწარმოო პროცესებში წლიურად, ტურბინის შემოღებით ის დაახლოებით 20%-ით (60,000,000 კვ) მოიკლებს შესყიდვის ოდენობას, ტურბინის გენერირებული ელექტრო ენერგიის ხარჯზე. ტურბინა წარმატებით იქნა გაშვებული 2019 წლის ოქტომბრის თვეში. ტურბინის და ზედნადების ხარჯების ჯამური ოდენობა არის დაახლოებით 5.5 მილიონი აშშ დოლარი.

მომავალში კომპანია გეგმავს სააბზორფციო გამაგრებლის დაყენებას რომელიც ასევე 9%-ით შეამცირებს ელექტროენერგიის ხარჯს. ჯერ-ჯერობით კომპანია ამ პროექტის ვალდებულებაში შესული არ არის.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 ოქტომბერს:

ლევან ბურდილაძე
ეფრემ ურუმაშვილის მინდობილი პირი

11. საკადრო პოლიტიკა (გაგრძელება)

სამსახურის მიღმა

სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისა და კორპორაციული კულტურის განვითარებისთვის კომპანია პერიოდულად მართავს სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს და შეხვედრებს. ასეთი მიდგომით ჩვენ ვწერავთ გუნდურ სულისკვეთებას და ვქმნით გარემოს, სადაც თანამშრომლები აძლიერებენ ერთმანეთს.

12. განვითარების გეგმები

2018 წლის თებერვალში კომპანიამ ხელი მოაწერე ორთქლის ტურბინის ხელშეკრულებას „სიმენსთან“, რის საფუძველზეც ის აპირებს 9 მეგავატი სიმძლავრის ტურბინის დამონტაჟებას ქარხნის ტერიტორიაზე და შესაბამისად მის ერთ-ერთ საამქროში, კერძოდ აზოტმყავაში ჭარბი ორთქლის უტილიზაციას და მიმართავს ტურბინისკენ. საშუალო უტილიზაცია ტურბინის იქნება დაახლოებით 80%. კომპანია დაახლოებით 300,000,000 კვ ელექტრო ენერგიას ხმარობს საწარმოო პროცესებში წლიურად, ტურბინის შემოღებით ის დაახლოებით 20%-ით (60,000,000 კვ) მოიკლებს შესყიდვის ოდენობას, ტურბინის გენერირებული ელექტრო ენერგიის ხარჯზე. ტურბინა წარმატებით იქნა გაშვებული 2019 წლის ოქტომბრის თვეში. ტურბინის და ზედნადების ხარჯების ჯამური ოდენობა არის დაახლოებით 5.5 მილიონი აშშ დოლარი.

მომავალში კომპანია გეგმავს სააბზორფციო გამაგრილებლის დაყენებას რომელიც ასევე 9%-ით შეამცირებს ელექტროენერგიის ხარჯს. ჯერ-ჯერობით კომპანია ამ პროექტის ვალდებულებაში შესული არ არის.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 ოქტომბერს:

 **JSC "RUSTAVI AZOT"**
საქართველო, სს "რუსთავის აზოტი"
* 4519794 *
საქართველო, სს "რუსთავის აზოტი"
* 4519794 *
საქართველო, სს "რუსთავის აზოტი"
* 4519794 *